ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მ/წ 12 ოქტონბრის №10/18539 წერილის და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ მ/წ 31 ოქტომბერს, სამგორის რაიონის სამაჟორიტარო ოფისში შედგება აღნიშნული რაიონის ამომრჩეველებთან შესვედრა და ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, მათთვის ანგარიშის წარდგენა.

ზემოაღნიშნულ ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: 45 ფურცელი

პატივისცემით,
ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო
პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე,
სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი

ლ.დარახველიძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატ
საქმისწარმოებისა განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 46 ფურცელ
№10/18539 22.10.15

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის, სამგორის რაიონის მესამე მასივის მაჟორიტარი წევრის

ლევან დარახველიძის

2015 წლის ანგარიში

1. ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

2015 წლის 1 იანვრიდან 16 ოქტომბრამდე, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს სხდომებში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 100-ზე მეტი დადგენილება და 400-მდე განკარგულება. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული და შემუშავებული იქნა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომებისას, რომლის თავმჯდომარეც გახლავართ. აგრეთვე, მოიცავდა იმ საკითხებსაც, რომელთა განხილვაში და შესწავლაში, როგორც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრს მაქვს აღნიშნული კომისიის 40-მდე სხდომაში მიღებული მონაწილეობა, რომლის დროსაც კომისიამ განიხილა 200-ზე მეტი საკითხი.

2. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მუშაობის შესახებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ, რომლის თავმჯდომარეც გახლავართ, 2015 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით, ჩაატარა 18 სხდომა, რომლის დროსაც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი 26 საკითხი, რომლებიც მოიცავდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურიდან მოწოდებულ პროექტებს, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმას,

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს და ა.შ.

აგრეთვე, კომისიაში განხილული იქნა მცირე მეწარმეების მიერ შემოტანილი მთელი რიგი პროექტები, რომლებიც შემდგომი შესწავლისა და განხორციელებისათვის გადაეგზავნა ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს. ასევე კომისიის მიერ რიგ განცხადება/წერილებზე საკრებულოს სხვა დარგობრივ კომისიებთან ერთობლივად მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები და პასუხები.

ამასთან, აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და მათ მიერ ინიცირებული ის პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდნელი შედეგები როგორიცაა:

- **”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის “მეწარმეობის მხარდაჭერა” ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტი**

  პროექტი ითვალისწინებს მეწარმეების ან მეწარმეობის დაწყების მსურველების დახმარებას ბიზნესის დაწყებასა და განვითარებაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით საფინანსო ორგანიზაციებიდან იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომას. ასევე დეველოპერული კომპანიების უფრო სწრაფ და ეფექტურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და არსებულის შენარჩუნება/გაზრდას.

  პროგრამის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დაფინანსდა 14 ბიზნესი და კიდევ მიმდინარეობს რიგი პროექტების განხილვისათვის განსაზღვრული პროცედურები. დაფინანსებული ბიზნესპროექტების განხორციელების შედეგად თბილისს 144 ახალი სასტუმრო ნომერი (306 საწოლი ადგილი) შეემატება. სევე შეიქმნება 250-მდე ახალი სამიშაო ადგილი და გაფართოვდება 2 სამედიცინო კლინიკა.

  ორგანიზებული იქნა გადამზადების კურსები შესყიდვების, გადასახადების და ბუღალტერიის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 400 მეწარმე.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს გზით, მოწვეულ იქნა უცხოელი ექსპერტი (ჰოლანდიიდან), რომელმაც თბილისის სასტუმროებისთვის ჩაატარა ტრენინგები გაყიდვებსა და მარკეტინგში.

- **ბიზნეს-კონსულტაციები მეწარმეთათვის**

ბიზნეს-კონსულტაციების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ინდივიდუალური და საერთაშორისო ექსპერტის ბიზნეს-კონსულტაციები, რომელთა რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქმიანობის გაუმჯობესებას და წარმოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას.
სამეწარმეო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით გადამზადდა 200 მოქმედი და დამწყები მეწარმე.
ჩატარდა ტრენინგები სტრატეგიულ მენეჯმენტში და ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის მიმართულებით.

- **სოციალური მეწარმეებისა და შშმ პირების საქმიანობის წარმოჩენა და ხელშეწყობა**

პროექტი პილოტურია და მოიცავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, დასაქმების, უნარ-ჩვევებისა და პროგრამაშო მონაწილე პირთა შემდგომში დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას.
პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს თბილისში რეგისტრირებული 50-მდე შშმ პირის გადამზადება, რის შედეგდაც 10 საუკეთესო მონაცემების მქონე პირი დასაქმდება.
პირველად თბილისის მერიის ჩართულობით, გაიმართა სოციალური საწარმოების მესამე ყოველწლიური კონფერენცია, რის შედეგადაც მოხდა სოციალური მეწარმეობის ცნების პოპულარიზაცია და აღნიშნული მიმართულების განვითარების გზების დასახვა.

შშმ პირების დასაქმების პერსპექტივის უზრუნველყოფით, მ.წ ივლისიდან მიმდინარეობს პრაქტიკულ სწავლებისა და სტაჟირების პროგრამა.

- **ტურიზმის განვითარება და ტურიზმის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროექტი ემსახურება როგორც შიდა ტურიზმის განვითარებას, ასევე უცხო ქვეყნის ვიზიტორებისათვის ქალაქის შესახებ ინფორმაციის გამარტივებული წესით მიღებას. “თბილისი 2015”-ის და

ევროპის სუპერთასის ფინალისთვის განხორციელდა 200-მდე მოხალისის გადამზადება და თითოეული კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.
ტრადიციული რეწვის ოსტატებისთვის ორგანიზებული იქნა ტრენინგი ბიზნესის დაგეგმვის მიმართულებით.
ტურიზმის განვითარება მ.შ. ინკლუზიური ტურიზმის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების სრულყოფილ ჩართვას სამოქალაქო აქტივობებში. ბიზნეს-კონსულტაციების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ინდივიდუალური და საერთაშორისო ექსპერტის ბიზნეს-კონსულტაციები, რომელთა რეკომენდაციები ხელს უწყობს საქმიანობის გაუმჯობესებას და წარმოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას. კომისიის წევრებმა სხდომაზე სრული უმრავლესობით დადებითი რეკომენდაცია მისცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სოციალური მეწარმეებისა და შშმ პირების საქმიანობის წარმოჩენა და ტურიზმის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების ხელშეწყობა, ასევე ტურისტული ღირშესანიშნაობების "მობილური გიდი"-ს ფარგლებში ბარკოდებით აღჭურვა, თბილისის მარკეტინგული ლოგოს და სუვენირების გამოსავლენად კონკურსის ჩატარება. "მობილური გიდი" მოიცავს ღირშესანიშნაობების შესახებ ხმოვან და ტექსტურ ინფორმაციას. აღნიშნული პროექტი ემსახურება როგორც შიდა ტურიზმის განვითარებას, ასევე უცხო ქვეყნის ვიზიტორებისათვის ქალაქის შესახებ ინფორმაციის გამარტივებული წესით მიღებას.
21 სექტემბრიდან მიმდინარეობდა ქ.თბილისში არსებული მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების თანამშრომელთა გადამზადების კურსები, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 300-მდე სასტუმროს თანამშრომელი.
გაიმართა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენები (WinExpo, ტურისტული გამოფენა)
დედაქალაქში არსებულ ღირშესანიშნაობებზე განთავსდა საინფორმაციო ბარკოდებიანი აბრები (მობილური გიდი), რომლის მეშვეობით ქალაქის სტუმარს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია ქალაქის ღირშესანიშნაობებზე. ასევე ძველი თბილისის ქუჩებზე განთავსდა საფეხმავლო ტურის მანიშნებლები.

- **სუვენირებისა და საიმიჯო მასალების შესყიდვა და გავრცელება**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებებისათვის საიმიჯო ლოგოს სიმბოლოთი სუვენირებისა და საიმიჯო მასალების შესყიდვა და გავრცელება. მომზადებული მასალებით

მთელი წლის განმავლობაში სარგებლობა შეეძლებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს, თბილისელებსა და ქალაქის ვიზიტორებს.
დასრულდა კონკურსი ქ.თბილისის სუვენირის შესარჩევად, რომლის შედეგად თბილისს აქვს ბრენდირებული სუვენირი.

- **თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში**

პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ტარდება საერთაშორისო სამუშაო შეხვედრები, იქმნება თემატური ჯგუფები: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და მისი გაფართოება; მეწარმეობა და მცირე და საშუალო საწარმოები; ქალაქის მიმზიდველობა – ბრენდინგი, მარკეტინგი, ინვესტიციები, ტურიზმი და სხვა. ამავე პროექტის ფარგლებში, სადაც საუბარია პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე (ინიციატივა "ექსპერტული შეფასება"), 27 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები კინო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც პროფესიონალებთან ერთად გაანალიზდა ადგილობრივი კინოწარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები და შეფასდა ის შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც თბილისში კინოწარმოების მოზიდვის თავალსაზრისით არსებობს. ასევე 2015 წლის 28 იანვარს სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერია"-ში შედგა პროექტის საჯარო პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის მიერ გამოყოფილმა ექსპერტმა მარტინ კაფმა წარმოადგინა საერთაშორისო პრაქტიკა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია.

- **ქ.თბილისის "ენერგო ქალაქების" ასოციაციაში გაწევრიანება**

კომისიამ დადებითად შეაფასა და თანხმობა მისცა იანვარში თბილისის გაწევრიანებას "ენერგო ქალაქების" ასოციაციაში. იგი წარმოადგენს ენერგოეფექტურობის საკითხებში ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის მიზნით შექმნილ ევროპულ გაერთიანებას, რომელიც დღეისათვის 30 სხვადასხვა ქვეყნიდან 1000-ზე მეტ წევრ ქალაქს მოიცავს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით თბილისმა მიიღო დახმარება ენერგოეფექტურობის სტრატეგიის შემუშავებისას, მონაწილეობს სხვადასხვა ევროპულ კამპანიებსა და პროექტებში, უფასოდ მონაწილეობს ყოველწლიურ თემატურ სამუშაო შეხვედრებზე, სემინარებზე, გენერალურ ასამბლეაზე, რათა შესაბამისად მოხდეს ჩვენი დედაქალაქის, როგორც ერთ-ერთი ევროპული ენერგოეფექტური ქალაქის განვითარება.

- **“არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “თბილისის მეწარმეობის ცენტრის” დაფუძნება**

  კომისიის სხდომებზე დეტალურად იქნა განხილული ცენტრის შექმნის აუცილებლობა, მისი მნიშვნელობა, ფუნქციები და სტრუქტურები. აღნიშნული ა(ა)იპ “თბილისის მეწარმეობის ცენტრი” ხელს უწყობს დედაქალაქში ახალი მეწარმეობის განვითარებას და ეფექტიანობას, მეწარმეთა გადამზადებას და მათი სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, თბილისში მოქმედ ან/და ასამოქმედებელი საწარმოების საექსპორტო პოტენციალის და რეალიზაციის მოცულობის გაზრდას. ცენტრი მუშაობს ინდივიდუალი მეწარმეებისათვის ინდივიდუალური პროგრამების შექმნაზე და მაღალი დონის ბიზნეს-პროექტების დამუშავებაზე.

- **ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-8 საერთაშორისო ფორუმი**

  ლევან დარახველიძემ, როგორც ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-8 საერთაშორისო ფორუმში. აღნიშნული ფორუმის მთავარი თემა იყო “ინტეგრირებული და მოქალაქეებზე ორიენტირებული ურბანული განვითარება”. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა. ფორუმი ჩატარდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ფინანსური მხარდაჭერით.

აგრეთვე, ჩართული ვარ ქ.თბილისის რაიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავების სამუშაო პროცესში. აღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავს თბილისის რაიონებში არსებული შესაძლებლობების და მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, რომლის ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება თითოეული უბნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და განვითარების შესაძლებლობა.

ასევე დამუშავების პროცესშია გარე ვაჭრობის წესის პროექტი, რომელიც დაარეგულირებს ქალაქში არსებულ გარე ვაჭრობის პროცესს.

საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისა და ქალაქის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში ჟურნალ “Georgia Finance”-ში განთავსდა სტატია თბილისის

შესახებ. რომელიც მოიცავდა ინფორმაციას თბილისში მიმდინარე და დაგემილი პროექტების, სხვადასხვა გეგმებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს სხვა წევრებთან, აგრეთვე, ქ.თბილისის მერთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, როგორც ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე, ლევან დარახველიძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომლის დროსაც შეხვედრები შედგა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. ვიზიტის მიზანი იყო ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა, საქმიანი წრეების დაკავშირების ეფექტური გზებისა და ორმხრივად სასარგებლო ბიზნეს პროექტების ხელშეწყობა.

3. ინფორმაცია საკრებულოს მაჟორიტარი წევრის - ლევან დარახველიძის მოქალაქეებთან ურთიერთობის, მათი წერილების და წინადადებების განხილვის შესახებ

თბილისის სამგორის რაიონის მესამე მასივში, მოსახლეობასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ლევან დარახველიძის, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ბიურო.

ბიურო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ჯანდაცვა და სოციალური სფერო;
- ინფრასტრუქტურული პროექტები;
- განათლება და კულტურა;
- სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი საქმიანობა.

ბიურო მუშაობს ყოველი სამუშაო დღის დილის 10 საათიდან 18:00 საათამდე. აღნიშნული ბიუროს ოფისში, ყოველ ოთხშაბათს, ლევან დარახველიძე მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს რაიონის მოქალაქეებთან. აღნიშნულის გარდა, მაჟორიტართან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე მოსახლეებთან შეხვედრები იმართება თბილისის საკრებულოშიც და უშუალოდ მესამე მასივის ტერიტორიაზე, კონკრეტული პრობლემების შესაწავლისა და გადაჭრის მიზნით. აღნიშნულ პერიოდში მაჟორიტარი უშუალოდ შეხვდა და გაესაუბრა 1500-მდე მოქალაქეს. მესამე მასივის მოსახლეთა პრობლემატიკის დეტალურად შესწავლის მიზნით

ლევან დარახველიძემ მთელი პერიოდის მანძილზე ჩაატარა 100-მდე შეხვედრა ე.წ. კორპუსის თავმჯდომარეებთან.

დღემდე, მაჟორიტარი წევრის სახელზე, შემოსულია 500-მდე წერილობითი განცხადება სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევის შესახებ. მათ შორის: ოპერაციებისა და მედიკამენტების დაფინანსებაზე, რომლებიც გადაიგზავნა ქ.თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებში და სამგორის რაიონის გამგეობაში. ჯამში 250-მდე მოქალაქეს გაეწია წერილობითი შუამდგომლობა; მათ შორის დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა განცხადებების 70 %.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დარახველიძის შუამდგომლობის საფუძველზე:

- მედიკამენტები დაუფინანსდა 60-მდე მოქალაქეს;
- სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები 20-მდე მოქალაქეს;
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 80-მდე მოქალაქეს;
- სოციალური სტატუსი მიენიჭა 4 მოქალაქეს და კიდევ 11 მოქალაქის შუამდგომლობა განხილვის პროცესშია;
- რაიონში მოქმედ საბავშვო ბაღებს, წინა წელთან შედარებით, 2015 წელს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ 370-მდე აღსაზრდელით მეტი;
- საქველმოქმედო ფონდ "თამარიონის" დახმარებით 4 შშმ პირი, უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო ეტლით და კიდევ ერთი მოქალაქის განცხადებაც განხილვის პროცესშია.

ლევან დარახველიძე და მისი ბიუროს თანამშრომლები, აქტიურად იყვნენ ჩართულნი 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში და ამ მიმართულებით მათ რამდენიმე ღონისძიება განახორციელეს. ასევე, საკრებულოს წევრის ინიციატივით, რაიონის მაცხოვრებელთა და ბიუროს თანამშრომელთა ჩართულობით, მოეწყო დასუფთავების აქცია;

საკრებულოს წევრის ბიურო უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და დაინტერესებული მოქალაქეებისათვის მიწოდებას.

რაც შეეხება მომართვებს ფართების დაკანონების, კორპუსების მიმდებარედ ასფალტის საფარის მოწყობის და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შესახებ, დროის მოკლე ვადებში მოხდა შესაბამისი რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში.

საკრებულოს წევრის, მესამე მასივის მაჟორიტარის უშუალო შუამდგომლობით, მუნიციპალიტეტის გამგეობის, ქ.თბილისის მერიის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტიური ჩართულობით, რაიონში განხორციელდა რიგი ინფრასტრუქტურული პროექტებისა.

მათ შორის 2015 წელს მესამე მასივში გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა შემდეგ საცხოვრებელ კორპუსებს:

№	მისამართი
1	III მასივი IX კვ კორპ № 9
2	III მასივი I კვ კორპ № "ა"
3	III მასივი I კვ კორპ № "ე"
4	III მასივი I კვ კორპ № "დ"
5	III მასივი VIII კვ კორპ № 1
6	შუამთის ქუჩა № 15
7	III მასივი VIII კვ კორპ № 6
8	III მასივი X კვ კორპ "ვ"
9	III მასივი X კვ კორპ "დ"

თბილისის მესამე მასივში შესრულებული საგზაო სამუშაოების ნუსხა:

№	მისამართი	ობიექტი
1	აეროდრომის დასახლება ქუჩა № III	ცენტრალური ქუჩა
2	კალოუბნის ქუჩა კორპ № 7	შიდა ეზო
3	კალოუბნის ქუჩა კორპ № 8	ცენტრალური ქუჩა
4	III მასივი VI კვ კორპ № 2	შიდა ეზო
5	III მასივი X კვ კორპ № 20	შიდა ეზო
6	აეროდრომის დასახლება ქუჩა № XIV	ცენტრალური ქუჩა
7	შუამთის ქუჩა კორპ № ა/ბ	შიდა ეზო
8	ჯავახეთის ქუჩა კორპ № 5-7	შიდა ეზო
9	გიორგი აბაშვილის ცენტრალური ქუჩა	ცენტრალური ქუჩა
10	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 26-27	ცენტრალური ქუჩა
11	III მასივი ზ/პლატო კორპ № 3	შიდა ეზო
12	III მასივი ზ/პლატო კორპ № "ბ"	შიდა ეზო
13	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 15-16	ბილიკი
14	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 25	ბილიკი
15	აეროდრომის დასახლება ქუჩა № XI	ცენტრალური ქუჩა
16	III მასივი IV კვ. კორპ. № 8-9-10	შიდა ეზო

2015 წლის მანძილზე მესამე მასივში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თანადაფინანსებით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. ქანობიანი სახურავის შეკეთება – 38000 ლარამდე;
2. ბრტყელი გადახურვის მოწყობა – 227000 ლარამდე;
3. კანალიზაცია/წყალმომარაგების სამუშაოები თანადაფინანსებით – 45000 ლარამდე;
4. წყალსაწრეტი მილების მოწყობა – 39000 ლარამდე;

5. სადარბაზოების შიდა რემონტი – 283000 ლარამდე;
6. სენსორული განათების მოწყობა – 22000 ლარამდე;
7. ლიფტების მოწესრიგება – 165000 ლარამდე;
8. ნაპრალების ამოვსება – 590000 ლარამდე;
9. სადარბაზოების კარებები – 10000 ლარამდე;
10. სადარბაზოს კიბეების მოწესრიგება – 4000 ლარამდე;
11. სადარბაზოს შესასვლელი ქუდების მოწესრიგება – 2500 ლარამდე.

ასევე, მაჟორიტარის უშუალო ჩართულობით მესამე მასივში ჩატარდა შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

1. სკვერების რეაბილიტაცია – 118000 ლარამდე;
2. სპორტული მოედნების რეაბილიტაცია – 173500 ლარამდე;
3. ცენტრალური წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 574000 ლარამდე;
4. საყრდენი კედლების მოწყობა – 290000 ლარი.

წინამდებარე ანგარიშის პერიოდში მაჟორიტარის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ დანართში (34 გვერდი).

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე, სამგორის
რაიონის მესამე მასივის
მაჟორიტარი წევრის ლევან დარახველიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამგორის რაიონის მესამე მასივის მაჟორიტარი წევრის

ლევან დარახველიძე

ბიუროს ანგარიში

2015 წელი

მესამე მასივის მაჟორიტარის ოფისის მუშაობის პრინციპები

ბიურო მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს;

ოთხშაბათი - მაჟორიტარს აქვს მოსახლეობის მიღების დღე;

თანამშრომლების მხრიდან ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა კონსულტირება, საინფორმაციო მხარდაჭერა;

საჭიროებიდან გამომდინარე დგება მაჟორიტარის შუამდგომლობა ადრესატ უწყებასთან;

მესამე მასივის მაჟორიტარის ოფისის უწყებათაშორისი თანამშრომლობა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საქალაქო სამსახურები;
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
5. შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
6. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
7. შპს “ყაზტრანსგაზი;
8. სს “თელასი”;
9. კომპანია “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”GWP”

მესამე მასივის მაჟორიტარის ოფისის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

მაჟორიტარის ბიურო მუშაობს მესამე მასივის მოსახლეობის პრობლემებზე.

საქმიანობის სფეროები:

- ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება;
- ინფრასტრუქტურა;
- განათლება და კულტურა;
- სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი საქმიანობა.

გაწეული სამუშაოები

- მაჟორიტარის ოფისის მიერ მიღებული იქნა 1500-მდე მოქალაქე;
- დეპუტატის სახელზე შემოვიდა 500-მდე განცხადება;
- წერილობითი შუამდგომლობა 250-მდე მოქალაქეს გაეწია;
- მათ შორის დადებითად დაკმაყოფილდა შემოსული განცხადებების 70 %.

ჯანდაცვა

- დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე მედიკამენტები დაუფინანსდა 60-მდე მოქალაქეს ;
- სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები 20-მდე მოქალაქეს;
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 80-მდე მოქალაქეს;
- მაჟორიტარის შუამდგომლობის დოკუმენტების გარეშე, დაჩქარებულად კეთდება გადაუდებელ სამედიცინო საჭიროების მქონე პირების, იშვიათი დაავადებების, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების და შშმ პირების საბუთები.

სოციალური სფერო

ბიურო უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და მიწოდებას დაინტერესებული მოქალაქეებისათვის.

სოციალური სფერო

მოქალაქის თხოვნით ხდება ინდივიდუალური ქეისის განხილვა სოციალურ აგენტებთან ერთად (შემდეგ მოქალაქის ინფორმირება და საჭიროების შემთხვევაში მაჟორიტარი მომსახურების სააგენტოსთან აყენებს შუამდგომლობას);

ამ მხრივ შემოსულია 15 მოქალაქის განცხადება. დადებითად გადაწყდა 4;

მიმდინარეობს 11 შუამდგომლობის განხილვა სოციალური სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ბაგა-ბაღები

2014 სასწავლო წელს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა იყო - 3260-მდე

2015 წელს ეს მონაცემი გაიზარდა : 3630-მდე

2015 წელს საბავშვო ბაღებმა მიიღეს : 370-მდე აღსაზრდელით მეტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

- ორგანიზაცია შშმ პირთა საქველმოქმედო ფონდი „თამარიონის“ დახმარებით ბიურომ 4 მოქალაქე უზრუნველყო სამედიცინო ეტლით;
- ერთი მოქალაქის განცხადება განხილვაშია;
- სხვა აუცილებელი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შშმ პირებისთვის გვეხმარებიან სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

დეპუტატი, ბიუროს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული 13 ივნისის სტიიქით დაზარალებულების დასახმარებლად

“დასუფთავების აქცია”

ინფრასტრუქტურული პროექტები



საცხოვრებელი კორპუსებიდან:

- ამხანაგობა შექმნილია - 306 კორპუსში
- ავარიულია - 95 კორპუსი

I ხარისხის ავარიულია - 21

II ხარისხის ავარიულია - 59

III ხარისხის ავარიულია - 30



P.S კორპუსებისათვის მინიჭებული ავარიულობის ხარისხი გადასამოწმებელია, ვინაიდან უკვე ძალიან დიდი ხანია არ მომხდარა ვიზუალური და გეოლოგიური შესწავლა, რაც რეალურ მდგომარეობას გაცილებით შეცვლის.

ავარიული კორპუსები

2015 წელს მესამე მასივში გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა შემდეგ საცხოვრებელ კორპუსებს

#	მისამართი	ვის მიერ
1	III მასივი IX კვ კორპ № 9	ქ.თბილისის მერია
2	III მასივი I კვ კორპ № "ა"	ქ.თბილისის მერია
3	III მასივი I კვ კორპ № "ე"	ქ.თბილისის მერია
4	III მასივი I კვ კორპ № "დ"	ქ.თბილისის მერია
5	III მასივი VIII კვ კორპ № 1	ქ.თბილისის მერია
6	შუამთის ქუჩა № 15	თანადაფინანსებით
7	III მასივი VIII კვ კორპ № 6	თანადაფინანსებით
8	III მასივი X კვ კორპ "ვ"	ქ.თბილისის მერია
9	III მასივი X კვ კორპ "დ"	ქ.თბილისის მერია

კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები

კორპუსის ამხანაგობების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები

- სახურავის გადახურვა (ქანობიანი/ბრტყელი)
- წყალსაწრეტი მილების შეკეთება
- წყალგაყვანილობა/კანალიზაციის რეაბილიტაცია
- ლიფტის შეკეთება
- სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია
- სენსორული განათება
- სადარბაზოების შიდა რემონტი
- სადარბაზოს კარის შეკეთება
- სადარბაზოს კიბეების რეაბილიტაცია
- სადარბაზოს ქუდის შეკეთება
- წითელი ხაზი

თანადაფინანსებული პროექტები 2015 წელი

თანადაფინანსებულ პროექტებზე სამგორის რაიონის ბიუჯეტიდან თანხა 1 500 000 ლარამდე გამოიყო

რეაბილიტაციამდე

რეაბილიტაციის შემდეგ

თანადაფინანსებული პროექტების სტატისტიკა და თანხები



სულ ჯამში გაიხარჯა 1 420 000 ლარამდე

ჯავახეთის ქუჩისა და ზემო პლატოს დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია

შესრულებული სამუშაოს ღირებულება **14,000** ლარამდემდე

შესრულებული სამუშაოს ღირებულება **16,000** ლარამდემდე

მესამე მასივი ზ/პ II მ/რ სკვერის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 118,000 ლარამდე თანხა

სპორტული მოედნების რეაბილიტაციაში 173 500 ლარამდე გაიხარჯა

მისამართი	ხელოვნური საფარი	მუნიციპალიტეტის წილი	მოცულობა	შენიშვნა
ვარკეთილის მასივი, ზ/პლატო, II მ/რ კორ № 6	ხელოვნური	28 000 ლარამდე	15 X 30 450 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
მე-3 მასივი ზ/პლატო კორპ № 47-48	ხელოვნური	72 000 ლარამდე	60 X 40 2400 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
III მასივი IV კვ, კორპ № 11	ხელოვნური	17 000 ლარამდე	15 X 30 450 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
III მასივი VIII კვ, კორპ № 17	ხელოვნური	17 000 ლარამდე	18 X 30 540 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
აეროდრომის 14 ქ. № 146-ე საჯარო/სკოლა	ხელოვნური	28 000 ლარამდე	15 X 30 450 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
ვარკეთილის 4 მ/რ II რიგის შესახვევი და ჯავახეთის ქუჩის კვეთა	ხელოვნური	11 500 ლარამდე	20 X 30 600 მ/2	ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები

რეაბილიტაციამდე

რეაბილიტაციის შემდეგ

საგზაო ინფრასტრუქტურა

მესამე მასივში 16 მისამართზე დაიგო და მოწესრიგდა გზის სავალი ნაწილი

საგზაო სამუშაოების ღირებულებამ 1 500 000 ლარამდე მიაღწია

შესრულებული საგზაო სამუშაოები

#	მისამართი	ობიექტი
1	აეროდრომის დასახლება ქუჩა № III	ცენტრალური ქუჩა
2	კალოუბნის ქუჩა კორპ № 7	შიდა ეზო
3	კალოუბნის ქუჩა კორპ № 8	ცენტრალური ქუჩა
4	III მასივი VI კვ კორპ № 2	შიდა ეზო
5	III მასივი X კვ კორპ № 20	შიდა ეზო
6	აეროდრომის დასახლება ქუჩა № XIV	ცენტრალური ქუჩა
7	შუამთის ქუჩა კორპ № ა/ბ	შიდა ეზო
8	ჯავახეთის ქუჩა კორპ № 5-7	შიდა ეზო
9	გიორგი აბაშვილის ცენტრალური ქუჩა	ცენტრალური ქუჩა
10	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 26-27	ცენტრალური ქუჩა
11	III მასივი ზ/პლატო კორპ № 3	შიდა ეზო
12	III მასივი ზ/პლატო კორპ № "ბ"	შიდა ეზო
13	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 15-16	ბილიკი
14	ვარკეთილის მასივი ზ/პლატო II მ/რ კორპ 25	ბილიკი
15	აეროდრომის დასახლება ქუჩა № XI	ცენტრალური ქუჩა
16	III მასივი IV კვ. კორპ. № 8-9-10	შიდა ეზო

რეაბილიტაციამდე

რეაბილიტაციის შემდეგ

გიორგი აბაშვილის ქუჩა შემოვლითი გზა

ცენტრალური წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაცია

ცენტრალური წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან გახარჯულია 574,000 ლარამდე

საყრდენი კედლის მოწყობა

საყრდენი კედლების მოწყობაში თვითმართველობის ბიუჯეტიდან გახარჯულია 290,000 ლარამდე

ბენეფიციართა რაოდენობა



გაუმჯობესებული პირობები და უკეთესი გარემო ბენეფიციარებს

თბილისის მუნიციპალიტეტის წევრის ლევან დარახველიძის ბიურო

2015 წელი